საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. იანვრის 20. № 1 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

1. შტატების დამტკიცების წესის შესახებ.

სამხედრო საქმე.

2. სასამსახურო-სადარაჯო ძალების რეგისტრაციის შესახებ.

მშენებლობა.

3. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის ლიტიტულო სიებისა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

ვაჭრობა. მრეწველობა.

4. „პურისა და ზოგიერთი სხვა საქონლის ფასების შეცვლასთან დაკავშირებით 1935 წ. იანვრის 1-ისათვის არსებული საქონლის ნაშთების გარდაფასების“ თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

5. პურის შესასყიდად შეზიდული საქონლის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

შრომა.

6. საგზაო მშენებლობაზე ამ დარგში წინეთ მოჰუშავე პირების დაბრუნების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

1. დადგენილება ს.კ.ს.

შტატების დამტკიცების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შტატების დამტკიცების წესის შესახებ“ 1934 წლის ნოემბრის 14-ს მიღებული დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 58, მუხ. 434), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტები ყოველწლიურად, საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო კომისრებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელთა წარდგენით, კუთვნილებისამებრ, ამტკიცებენ:

ა) საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ცენტრალური აპარატების შტატებს;

ბ) საშტატო კონტინგენტებს საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭირისტანის ავტ. სსრ ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების ადგილობრივი ორგანოებისათვის (ინსპექციებისა და სამმართველოებისათვის და სხვ.), რომელთა დაფინანსება მათი ხარჯთაღრიცხვით ხდება;

გ) საშტატო კონტინგენტებს საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტებისა, სასწავლებლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებისა, სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და მათი ორგანოების გამგებლობაში იმყოფებიან;

დ) საშტატო კონტინგენტებს იმ ტრესტების, შენაერთების და სხვა მათი თანაბარი სამეურნეო ორგანიზაციების სამმართველოებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების გამგებლობაში იმყოფებიან;

ე) საშტატო კონტინგენტებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მოქმედი რესპუბლიკანური და საოლქო ქვემდებარეობის სამრეწველო, სავაჭრო, საგამსაღებლო, სამომმარაგებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა სამმართველო ორგანოებისათვის.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, კუთვნილებისამებრ, ყოველწლიურად, საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების წარდგენით, ამტკიცებენ:

ა) საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების შტატებს;

ბ) საშტატო კონტინგენტებს სხვა ადგილობრივი ორგანოებისათვის, რომელთა დაფინანსებაც ხდება საარაიონო ბიუჯეტით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საშტატო კონტინგენტებს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა, სასწავლებლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის, რომელნიც საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების გამგეობლობაში იმყოფებიან;

დ) საშტატო კონტინგენტებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების გამგებლობაში მყოფი ტრესტებისა, კომბინატებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების სამმართველოებისათვის;

ე) საშტატო კონტინგენტებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მოქმედი სარაიონო ქვემდებარეობის სამრეწველო, სავაჭრო, საგამსაღებლო, სამომმარაგებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა სამმართველო ორგანოებისათვის.

3. საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოები ყოველწლიურად, სასოფლო საბჭოების წარდგენით, ამტკიცებენ შტატებს სასოფლო საბჭოებისა და სხვა დაწესებულებებისათვის, რომელთა დაფინანსებაც სოფლის ბიუჯეტით ხდება.

4. 1-ლი მუხლის „ბ"—„ე" პუნქტებში და მე-2 მუხლის „გ"—„ე" პუნქტებში აღნიშნული საშტატო კონტინგენტები დაწესდება თვითეული უწყებისა და რაიონისათვის მთლიანად, ცალკეულ ორგანოებად დანაწილების გარეშე.

5. თვითეული სახალხო კომისარიატის, ცენტრალური დაწესებულებისა და რაიონისათვის დამტკიცებული საშტატო კონტინგენტების ფარგლებში, სახალხო კომისარი, ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელი ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭო ამტკიცებს:

ა) შტატებს თვითეული ქვემდებარე ადგილობრივი ორგანოსათვის, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და სასწავლებლისათვის და აგრეთვე თვითეული ტრესტის, შენაერთის და სხვ. სამმართველოსათვის და თვითეული საწარმოს სამმართველო აპარატისათვის, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ დაწესებულებას ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს;

ბ) ტრესტში, შენაერთში და სხვ. შემავალ საწარმოთა სამმართველო ორგანოების საშტატო კონტინგენტებს მთლიანად თვითეული ტრესტისა და შენაერთისათვის და სხვ..

6. თვითეული ტრესტისა და შენაერთისათვის და სხვ. (მე-5 მუხლის „ბ" პუნქტი) დამტკიცებული საშტატო კონტინგენტების ფარგლებში ტრესტის, შე-

ნაერთის და სხვ. ხელმძღვანელი ამტკიცებს სამმართველო აპარატის შტატებს ამისი ქვემდებარე თვითეული საწარმოსათვის.

7. კოოპერატიული სისტემებისა და სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოებების სამმართველო აპარატების საშტატო კონტინგენტებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. აღნიშნული კოოპერატიული სისტემებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების შედგენილობაში შემავალი ცალკეული ორგანიზაციებისათვის შტატების დამტკიცების წესს განსაზღვრავენ კოოპერატიული სისტემებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების სრულიად საქართველოს ცენტრები საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს და სარაიონო საფინანსო ორგანოებს, კუთვნილებისამებრ, ეკისრებათ:

ა) განიხილონ ის შტატები და საშტატო კონტინგენტები, რაც უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს, და წარადგინონ თავისი დასკვნა ამ შტატებისა და საშტატო კონტინგენტების შესახებ;

ბ) კონტროლი გაუწიონ იმას, რომ ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ დაიცვას მისთვის დაწესებული შტატები და საშტატო კონტინგენტები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი.

სამხედრო საქმე

2. დადგენილება ს.კ.ს

სახამსახურო-სადარაჯო ძაღლების რეგისტრაციის შესახებ.

076
355.1

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ქალ. ტფილისსა, სოხუმსა, ბათომსა, ქუთაისსა, ფოთსა და თელავში სასამსახურო-სადარაჯო ძაღლების სავალდებულო რეგისტრაცია.

2. წინადადება მიეცეს ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს გამოსცენ, „თავდაცვაავიაქიმთან“ შეთანხმებით, ინსტრუქცია სასამსახურო-სადარაჯო ძაღლების რეგისტრაციის წესის შესახებ.

3. ნება დაერთოს იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს, რომელნიც ჩამოთვლილ არ არიან ამა დადგენილების 1-ლ მუხლში, და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შემოიღონ ხოლმე, „თავდაცვაავიაქიმთან“ წინასწარი შეთანხმებით, სასამსახურო-სადარაჯო ძაღლების რეგისტრაცია მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. დეკემბრის 16
ტფილისი.

მშენებლობა

3. დადგენილება ს.კ.ს.

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიებისა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

„უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობის მოსპობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 3-ის თარიღის და 2050 №-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 45 №-ი, მუხ. 354) და „მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ გამოცემული იმავე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 23-ის თარიღის და 2437 №-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 54 №-ი, მუხ. 414) შესაბამისად და ამ კანონების განსავითარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის იმ სატიტულო სიებს (სახელობითი სიები), რომლებიც დასამტკიცებელი არ არის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების მოხსენებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნით.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ დასამტკიცებელ სატიტულო სიებში შეტანილ უნდა იქნეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის (როგორც ახლისა ისე გარდამავალის) ყველა ობიექტი-

შენიშვნა. სატიტულო სიებში შესატან ობიექტებს მიეკუთვნება:

ა) ახალ საწარმოთა, ნაგებობათა, შენობათა და გზათა მშენებლობა;

ბ) მათი რეკონსტრუქცია;

გ) მოქმედ საწარმოში ახალი ცეხებისა და აგრეგატების აგება;

დ) კაპიტალური რემონტი.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასამტკიცებელი სატიტულო სიები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:

ა) ობიექტის მშენებლობის ადგილის შესახებ:

ბ) მისი საპროექტო ძალოვნების შესახებ;

გ) მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების დროის შესახებ;

დ) მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შესახებ;

ე) დასაგეგმი წლის კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის შესახებ;

ვ) მშენებლობის დაფინანსების წყაროების შესახებ.

4. განისაზღვროს, დაწყებული 1935 წლის მშენებლობის ახალი ობიექტებიდან, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური პროექტებისა და ამ პროექტების ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შემდეგი წესი:

გენერალურ გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს იმ უაღრესი მნიშვნელობის მქონე ობიექტებისას, რომლების სიასაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აწესებს სატიტულო სიების დამტკიცების შემდეგ, ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების მოხსენებისამებრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნისამებრ, ხოლო ამ ობიექტების ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები ან ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი;

ბ) რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის იმ ობიექტების (ამა მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნულთა გარდა) პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს, რომლებიც შეტანილია დამტკიცებულ სატიტულო სიებში, ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ქვემდებარე და დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილი მშენებლობის ობიექტების პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები;

დ) არასამრეწველო მშენებლობის ხაზით (კომუნალური, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საადმინისტრაციო) ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე და დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილ ობიექტების პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს ტფილისის საქალაქო საბჭო.

შენიშვნა 1. ტექნიკურ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს მშენებლობის იმ ობიექტებისას, რასაც ანხორციელებენ ის სახალხო კომისარიატები, რომელთაც თავიანთ აპარატში არა ჰყავთ ამ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განმხილველი ორგანოები (მე-6 მუხლი) ამტკიცებენ სათანადო სახალხო კომისარიატები (სამრეწველო მშენებლობის ხაზით—ადგილობრივი მრეწველობის სახალო კომისარიატი, კომუნალური, საბინაო და საადმინისტრაციო მშენებლობის ხაზით—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, სასკოლო მშენებლობის ხაზით—განათლების სახალხო კომისარიატი, საავადმყოფოთა მშენებლობის ხაზით—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ურელსო ტრანსპოტის მშენებლობის ხაზით—გზატკეცილების, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო, სავაჭრო-სასაწყობო მშენებლობის ხაზით—შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და სხვ.).

შენიშვნა 2. გარდამავალი მშენებლობის იმ ობიექტების ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, რომელთაც ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები არ ექნებათ სათანადო წესით დამტკიცებული ამ დადგენილების გამოქვეყნების დროისათვის, დამტკიცებულ უნდა იქნეს ამა მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

5. დაწესებულ იქნეს, რომ საწარმოთ, დაწესებულებათ და ორგანიზაციათ შეუძლიათ აწარმოონ მშენებლობისათვის საჭირო სამომზადებლო მუშაობა და კაპიტალური მშენებლობის პროექტირება რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ობიექტების ხაზით მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში და ამ სამუშაოთა იმ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში, რაც დამტკიცებულია ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

საპროექტო ორგანიზაციებს უფლება არ აქვთ დადვან ხელშეკრულებანი მშენებლობის იმ ობიექტების პროექტირების შესახებ, რომელნიც არ შეესაბამებიან—ზემოაღნიშნულ პირობებს

6. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, შინა-ვაჭრობისა, კომუნალური მეურნეობისა, განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს—მოაგვაროონ თავიანთი აპარატები ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების აღსრულებისათვის.

7. აიკრძალოს მშენებლობის დაფინანსება და აგრეთვე მშენებლობისათვის საჭირო სამომზადებლო მუშაობისა და მშენებლობის პროექტირების დაფინანსება ისეთი ობიექტების ხაზით, რაც შეტანილი არ არის დადგენილი წესისამებრ დამტკიცებულ სატიტულო სიებში (ხოლო სამომზადებლო სამუშაოთა და

პროექტირების ხაზით—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური ნებართვის გარეშე), აგრეთვე, უკეთუ არ არსებობს სათანადო წესით დამტკიცებული ტექნიკური პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და გეგმები.

შენიშვნა. მშენებლობისა და აგრეთვე სამომზადებლო სამუშაოებისა და პროექტების დაფინანსება უპროექტოდ, უხარჯთაღრიცხვოდ და უგეგმოდ შეიძლება განსაკუთრებული ნებართვით, რაც გაიცემა თვითეულ ცალკე შემთხვევაში „კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დროს გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების მიერ განსახორციელებელი კონტროლის წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 27-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 №-ი, მუხ. 169).

8. აიკრძალოს კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების გარეშე. დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისტემატური მეთვალყურეობა ამ წესის აღსრულებისათვის.

9. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი და აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

10. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას—წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებული პროექტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა შესახებ, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. დეკემბრის 16.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 293 №-ში 1934 წ. დეკემბრის 21.

ვაჭრობა. მომარაგება

4. დადგენილება ს.კ.ს.

„პურისა და ზოგიერთი სხვა საქონლის ფასების შეცვლასთან დაკავშირებით 1935 წ. იანვრის 1-სათვის არსებული საქონლის ნაშთების გარდაფასების“ თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, (ენერ-ლურ დაწესებულებას და კოოპერატიულ ცენტრს, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, ერთი დღის ვადაზე მოაწყონ მათ ქვემდებარე ყველა საწარმოში და დაწესებულებაში (საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელი, სადამმზადებლო ორგანიზაციები, ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები და სხვა სამრეწველო და წარმოებითი საწარმოები, საგამსაღებლო და სამომმარაგებლო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი და სხვ. მისთ.) 1935 წლის იანვრის 1-სათვის გარდაფასება და ხელახალი აღრიცხვა:

ა) პურისა, მარცვლეულისა, ფქვილისა, ბურღულისა, მაკარონისა და მარცვალ-ფურაჟისა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა, რომლის ფასებიც დიდდება (ბამბისა, სელისა, ქერელისა, თამბაქოს, აბრეშუმის პარკისა, ბეწვეულისა, თევზისა და სხვ.);

გ) ნახევარფაბრიკატებისა, მზანაწარმისა და დაუმთავრებელი წარმოების საგნებისა, რომელნიც დამზადებულია „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატებისაგან და რომელნიც იმყოფება სამრეწველო და წარმოებით საწარმოებში და მრეწველობის საგამსაღებლო ბაზებში.

ზემოაღნიშნული გარდაფასება და ხელახალი აღრიცხვა უნდა მოხდეს „პურისა და ზოგიერთი სხვა საქონლის ფასების შეცვლასთან დაკავშირებით 1925 წ. იანვრის 1-სათვის არსებული საქონლის ნაშთების გარდაფასების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის დეკემბრის 23-ის დადგენილებაში გათვალისწინებული წესით (გაზ. „კომუნისტი“ 1934 წ. № 297 და გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1934 წ. № 300).

2. პურის, ფქვილის, ბურღულის, მაკარონისა და მარცვალ-ფურაჟის ნაშთებისა და აგრეთვე ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ნაშთების გარდაფასება, რომელთა ფასებიც საქართველოს სსრ-ისათვის უკვე განსაზღრულია „გამომცხვარ პურზე, ფქვილზე, და ბურღულზე საბარათო სისტემის გაუქმებისა და ტექნიკური კულტურების დასაქონლების სისტემის გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის 1934 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების წესით „(იზვესტია“ 1934 წ. № 286), სწარმოებს 1935 წ. იანვრის 1-დან შემოსაღები ახალი ფასების საფუძველზე.

ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შეფასება ხელახალი აღრიცხვის დროს, რომლის ფასებიც ჯერ კიდევ განსაზღრული არ არის, და აგრეთვე ნახევარფაბრიკატებისა, მზანაწარმისა და დაუმთავრებელი წარმოების საგნების შეფასება წარმოებს მოქმედი ფასების მიხედვით, ხოლო, შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ახალი ფასების განსაზღვრისა და აგრეთვე ნახევარფაბრიკატებში, მზანაწარმში და დაუმთავრებელი წარმოების საგნებში ნედლეულის ნორმების განსაზღვრის შემდეგ, მოხდება მათი გარდაფასება.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდ-ელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქა-ლაქო საბჭოების თავმჯდომარეებს, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს რწმუ-ნებულთ, მოაწყონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ საქონელთა გარდაფასებისა და ხელახალი აღრიცხვის ჩატარებას, ზემოაღნიშნული საკავშირო კანონისა და მა-დადგენილების საფუძველზე, ყველა წამოწყებაში და დაწესებულებაში, რაც სა-თანადო რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მდებარეობს, და აგრეთვე კონტრო-ლი გაუწიონ აღნიშნული ღონისძიების თავის დროზე და სწორედ განხორცი-ელებას.

4. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ღონისძიებანი საქონლის ნაშთების გარდაფასებისა და ხელახალი აღრიცხვის სასწრაფოდ და სწორედ განხორციელებისათვის მათ ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის დეკემბრის 23-ის დადგენილებისა და ამა დადგენილების საფუძველზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 300 №-ში, 1934 წ. დეკემბრის 29.

---

5. დადგენილება ს. კ. ს. და ს. კ. პ (ბ). ც. კ.

პურის შესასყიდად შეზიდული საქონლის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნოს, რომ 5.181 ათასი მანეთის საქონლის ფონდის ანგარიშში, რაც საჭიროა პურის შესყიდვის წასახალისებლად, ცეკავშირის ცნობების მიხედვით 20 დეკემბრისათვის შეზიდულია სარაიონთაშორისო ბაზებში 4.970 ათასი მა-ნეთის საქონელი; ამ რაიონებიდან გადაგზავნილია სარაიონო სამომხმარებლო კავშირებსა და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებში 4.709 ათასი მანე-თის საქონელი.

პურის შესყიდვის ძირითად 12 რაიონში ჩატარებულმა საქონლის რეალი-ზაციის მიმდინარეობის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ამ რაიონებში შეზიდული 3.159 ათასი მანეთის საქონლიდან, 15 დეკემბრისათვის არსებული ცნობების მიხედვით, რეალიზებულია 2.681 ათასი მანეთის საქონელი. გზაშია საქონელი, რომლის თანხა ერთ მილიონ მანეთს აღემატება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრა-ლური კომიტეტი აგდენენ:

1- დაევალოს ცეკავშირს, სარაიონო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და რაიკავშირებს გამოარკვიონ მთელი დავალიანება პურის გამყიდველებისადმი საქონლის ხაზით და უზრუნველყონ ამ დავალიანების ლიკვიდაცია (ყველას მიმართ, ვისაც ქვითრები აქვს) 1935 წლის 10 იანვარამდე. ამ მიზნით ცეკავშირმა და სარაიონთაშორისო ბაზების მმართველებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა მთელი არსებული (პურის შესყიდვისათვის დანიშნული) და დანაკლისი რაოდენობა საქონლისა სავსებით გადაგზავნილ იქნას ძირეულ ქსელში 1935 წლის 1-ლ იანვრამდე.

2. რადგან მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობები არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას, რომ მიიღონ საქონელი გაყიდული პურისათვის, რაც აფერხებს პურის შესყიდვის წასახალისებლად გაგზავნილი საქონლის რეალიზაციას და დავალიანების ლიკვიდაციას, წინადადება მიეცეს რაიკომებს მოაწყონ კოლმეურნეობებში ქვითრების ნაწილის (უკვე გაყიდული პურისთვის) კოლმეურნეთა შორის განაწილება, რათა კოლმეურნეებმა შეიძინონ სამომხმარებლო საქონელი.

3. დაევალოს სარაიონო კომიტეტებს სამი დღის ვადაზე შეატყობინონ ყველა კოლმეურნეობას, კოლმეურნეს და ერთპიროვნულ მეურნეობას, რომ 1934 წლის 20 დეკემბრამდე გაცემული ქვითრების (საქონლის ყიდვის უფლებაზე) მოქმედების ვადა თავდება 1935 წლის 20 იანვარს, ხოლო ახლად გაცემული (20 დეკემბრის შემდეგ) ქვითრების მოქმედებისათვის დაწესებულია ერთი თვის ვადა. იმ ქვითრების მოქმედების ვადა, რომლებითაც დადებულია წინასწარი ხელშეკრულება სპეციალური საქონლის (ავტომობილი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ველოსიპედი, პატეფონი და სხვ.) მიღების შესახებ, განსაზღვრულ უნდა იქნეს ხელშეკრულებით.

4. დაევალოს ცეკავშირს და სარაიონო კომიტეტებს 7 იანვრისათვის აცნობონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამა დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, კერძოდ, რეალიზებული საქონლის თანხა და საქონლის ნაშთი 1-ლი იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, ხოლო 23 იანვარს მოაწოდონ ასეთივე ცნობები 20 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

5. ცეკავშირმა (ამხ. სუკოიანმა) და მარცვალდამზადებამ (ამხ. ჯავახიამ) უზრუნველყონ 30 დეკემბრამდე მთელი შესყიდული პურის გამოზიდვა და მარცვალდამზადების პუნქტებში ჩაბარება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ვ. ბაქრაძე.**

1934 წ. დეკემბრის 27.
ტფილისი.

ფ რ ო მ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

572.12

6. დადგენილება ს. კ. ს.

საგზაო მშენებლობაზე ამ დარგში წინეთ მომუშავე პირების დაბრუნების შესახებ.

სოციალისტურ მშენებლობაში გზის ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობის გამო და მისი დაკომპლექტებისათვის კვალიფიციური მუშებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელს (სატრანსპორტო საწარმოთ და თავდაცვისათვის მომუშავე საწარმოთა გარდა) ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოარკვიონ, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით, საგზაო მშენებლობის სპეციალისტები (ინჟენრები და ტექნიკოსები), რომელნიც ამ ჟამად თავის სპეციალობაში არ მუშაობენ, მათი სია აცნობონ საქართველოს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, (ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 8) და უკანასკნელის მოთხოვნით დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ აღნიშნული პირები მათი თანამდებობიდან.

2. ის პირები, რომელნიც არ გაანთავისუფლებენ ტრანსპორტზე დასაბრუნებელ მომუშავეებს მათი სამსახურიდან ან დაჰფარავენ მათ, მიიცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის თანახმად.

3. სიის მიღებისთანავე საქართველოს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო აცნობებს: სათანადო დაწესებულებას—სატრანსპორტო სპეციალობის სპეციალისტის განთავისუფლების შესახებ და იმავე დროს თვითონ სპეციალისტს—საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპოტის სამმართველოს ან ადგილობრივი საგზაო ორგანოს განკარგულებაში გამოცხადების შესახებ.

4. თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ ტრანსპორტზე მიწვეული მომუშაეები ვალდებული არიან 5 დღის ვადაზე გამოცხადდენ საქართველოს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ მითითებულ ადგილას, სამუშაოზე დასანიშნად.

თავის არიდება ამ მოვალეობის შესრულებისათვის, გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61[1] მუხლის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მთელი მუშაობა საგზაო მშენებლობაზე სპეციალისტების დაბრუნებისათვის დამთავრდეს 1935 წლის 1 თებერვლამდე.

საქ სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. ნოემბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 2 №-ში 1935 წ. იანვრის 2.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1935 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე— 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრი -და ივნისის 30-მდე— 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობას

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1935 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1935 წ. № 1. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 1/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/I; ტირაჟი 1.700.

მთავ. რწმუნ. № 8721. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 77